

ბიზნეს სუბიექტები... 2014 (7)

სტატისტიკური და ანალიტიკური რელიზი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური მონაცემებით, 2014 წლის ივლისის თვეში ქვეყანაში რეესტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობამ 3 652 ერთეული შეადგინა, რომელთა შორის 97.1% სამეწარმეო სუბიექტია (ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, კოოპერატივი, უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი), ხოლო 2.9% - არასამეწარმეო სუბიექტი (არასამეწარმეო იურიდიული პირი, უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი). ამავე თვეში ბიზნესის რეესტრაციის თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) 0.834 დონეზე დაფიქსირდა.

ა.წ. ივლისის თვეში კლება დაფიქსირდა როგორც წინა თვესთან (2.2%-ით), ისე წინა წლის იმავე თვესთან (17.1%-ით) შედარებით.

2014 წლის ივლისის თვეში წინა თვესთან შედარებით სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 2.2%-ით შემცირდა, ხოლო არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა უცვლელი დარჩა. კლების ტენდენცია დაფიქსირდა წინა წლის იმავე თვესთან შედარებითაც: სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობის კლება 16.6%-ით და არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობის კლება 32.7%-ით.

ამავე თვეში ბიზნესის რეესტრაციის თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) სამეწარმეო და არასამეწარმეო სუბიექტების მიხედვით შესაბამისად 0.835 და 0.827 დონეებზე დაფიქსირდა.

ა.წ. ივლისის თვეში ბიზნეს სუბიექტთა უმეტესობა დარეესტრირდა ინდივიდუალური მეწარმის (2 052 ერთეული, ანუ რეესტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა 56.2%) და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (1 420 ერთეული, ანუ რეესტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა 38.9%) სახით. როგორც ჩანს, ბიზნეს სუბიექტთა 95.1% მხოლოდ აღნიშნულ სამართლებრივ სტატუსებს ანიჭებს უპირატესობას. ამავე თვეში ქვეყანაში დარეესტრირდა: 102 არასამეწარმეო იურიდიული პირი, 58 კოოპერატივი, 11 უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი, 6 სააქციო საზოგადოება, 2 უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი და 1 საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

P.S. დამატებით იხილეთ:

(ა) ცხრილი - ბიზნესის რეესტრაციის თვის სტატისტიკა... ივლისი, 2013-2014

(ბ) გრაფიკი - ბიზნესის რეესტრაციის თვის დინამიკა... 2010-2014



© საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

ბიზნესის რეგისტრაციის თვის სტატისტიკა ივლისი, 2013-2014

ინდიკატორები	ზ.ე.	ივლისი	
		2013	2014
რაოდენობა			
სამეწარმეო სუბიექტები	ერთეული	4251	3547
არასამეწარმეო სუბიექტები	ერთეული	156	105
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	ერთეული	4407	3652
სტრუქტურა			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	96.5	97.1
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	3.5	2.9
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	100	100
ზრდა/კლება წინა თვესთან შედარებით			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	13.3	-2.2
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	10.6	0
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	13.2	-2.2
ზრდა/კლება წინა წლის იმავე თვესთან შედარებით			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	29.5	-16.6
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	85.7	-32.7
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	30.9	-17.1
ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი			
სამეწარმეო სუბიექტები	კოეფიციენტი	1.000	0.835
არასამეწარმეო სუბიექტები	კოეფიციენტი	1.228	0.827
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	კოეფიციენტი	1.007	0.834
რაოდენობა			
ინდივიდუალური მეწარმე	ერთეული	2699	2052
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთეული	1	0
კოოპერატივი	ერთეული	4	58
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთეული	1530	1420
სააქციო საზოგადოება	ერთეული	8	6
კომანდიტური საზოგადოება	ერთეული	0	0
უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	ერთეული	9	11
არასამეწარმეო იურიდიული პირი	ერთეული	152	102
უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	ერთეული	4	2
საჯარო სამართლის იურიდიული პირი	ერთეული	0	1

წყარო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 2014

© ინფორმაციის გამოყენებისას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მითითება სავალდებულოა!

ՀՌԲԵԿՆԸՆ ԻՃԹՆՍԵԿՏՐՈՆ ՄՅՈՆ ԸՆԾԱՆՈՎՆԱ... 2010-2014
ՆԵՏԻ ՀՌԲԵԿՆ ՆՃԹՈՎՆԵՂԵՐ (ԺԻՄԵԿԸ)

